სახალხო გაზეთი

№ 648 პარასკევი, 13 ივლისი, 1912 წ. № 648

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ... თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ. **სახ. გაზ. კანტორა.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „გრდემლს".

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

კნეინა **მარიამ ალექსანდრეს ასული,** ექიმი **იოსებ ნიკოლოზის ძე** და **თამარ თუმანიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელ შვილისა და დისა

ელენესი

პანაშვიდი იქნება გადახდილი პარასკევს, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება სახლიდან შაბათს, 14 ივლისს, დილის 9 საათზე წმ. ღვთის მშობლის მიძინების რომის კათოლიკეთა ეკლესიაში და დასაფლავება, კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე. (2—552—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფიდთროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ. ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო. ქალ. სნეულებ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფიდთროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. ავადმ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით. (წ. 1010.67)

ექიმი აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (წ. 1347.204)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—120)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელდ. საბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირი. (25—1178—79)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, **№ 3, ს. გაბაშვილისა.** (უ)

მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ქუთაისის ბანკის ტფილისის განყოფილება

ამით იუწყება, რომ იგი იძლევა

გრძელვადიან სესხს

ქ. თელავისა, სიღნაღისა და ყარსის უძრავ ქონების გირავნობით და აგრეთვე დაბა ახალქალაქისა, სურამისა, მიხაილოვისა, მანგლისისა, ცხინვალისა, ბორჯომისა და აბასთუმნისა და პოსად კოჯრისა. უძრავ ქონების დაგირავებით, იმავე პირობებით, როგორიც ქალაქის მამულია დაგირავების დროს. (3.1387.2)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამ წლის 1-ლ სექტემბრიდან

იცლება ორი ადგილი მასწავლებელ ქალისა,

წლიურად 600 მან. ჯამაგირით **რუსულ** და **ქართულ** პირველდაწყებით სკოლებში.

თხოვნები, გიმნაზიის 8 კლასის ატესტატის პირი, ცნობები სამასწავლებლო ნამსახურობისა და პოლიტიკურ საიმედობის მოწმობა მიიღება ქალაქის გამგეობის სამოსწავლო განყოფილებაში 10 აგვისტომდე ამ წლისა. ადგილობრივ მკვიდრთა (ქართულ) სკოლაში ამასთანავე საჭიროა საფუძვლიანი ცოდნა ქართული ენისა, რათა საგნები ამ ენით ისწავლებოდეს. (3—1379—2)

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 337)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606"-ით. (წლ—1018—307).

დოქტორი მედიცინისა ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების. სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. **№ 18,** თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1 82. (თ. 1037 208)

ექიმი ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

ექიმი კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (0—1334—20)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.** ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—55)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., **№ 2**

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№ 3.** 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.152)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., **№ 67, სახლი სვანიშვილისა.**

ექიმი ს. ი. გძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. (0—550—3)

ახალი ამბავი

ტფილისი

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო. ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიურომ 12 ივლისს, 2 საათამდე ამომრჩეველთა სიებში შეიტანა: რუსის კურიიდან—1163 კაცი, ხოლო საერთო—1,050.

— თანახმად ქალაქის გამგეობის თხოვნისა, შვეიცარიის ელჩმა სასტატისტიკო ბიუროს აცნობა სია შვეიცარიის იმ ქვეშევრდომებისა, რომელნიც ამ ჟამად ტფილისში სცხოვრობენ.

✦ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** გუშინ, მელვინეობისა და მევენახეობის ტფ. კომიტეტმა შეადგინა ფილოქსერასთან მებრძოლი დასები, რომელნიც მთავარ ინსტრუქტორების ბ-ნთ მაკარაშვილისა და იოსელიანის ხელმძღვანელობით 20 ივლისისთვის კახეთს მიემგზავრებიან. 120 მთხოვნელისგან 60 კაცი მიიღეს.

✦ **ქართლ-კახეთის სასინოდო** კანტორის პროკურორი ბ-ნი პოპოვი ტფილისიდან წავიდა დასასვენებლად. მის თანამდებობის ასრულებას შეუდგა სასინოდო კანტორის მდივანი ა. ა. დავიდოვი.

✦ **არქიმანდრ. პიროსი,** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის წევრი, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **გორის ეპისკოპოს ანტონის მოგზაურობა ფშავ-ხევსურეთში.** ეპისკოპოსი ანტონი, გუშინ წინ უკვე დაბრუნდა ტფილისში ფშავ-ხევსურეთიდან, სადაც მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების დავალებით სკოლები და ეკლესიები დაათვალიერა. ეპისკოპოსს მოუვლია შემდეგი ადგილები: ანანური, ჟინვალი, თვალივი, ჩარგალი, მაღაროს-კარი, ორწყალი, შუაფხო, მუქო, სადაც თამარ-სოფელში წმ. თამარ-მეფის სახელობის სამლოცველო აკურთხა, ბარისახო, ხახმატი, ბაცალიგო, როშკი, ახიელი და შატილი. გზა-და-გზა ეპისკოპოსს სასულიერო წიგნები დაურიგებია ხალხისთვის.

✦ **მადათოვის კუნძულის გამშვენიერება-გასუფთავებას** ქალაქი მოკლე ხანში შეუდგება. ჯერ-ჯერობით ქალაქის გამგეობამ ინჟინერს აბელოვს დაავალა, შეადგინოს კუნძულის გამშვენიერების პროექტი, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს ყველა ქუჩა, მოედანი და მისახვევი.

✦ ბოტანიკურ ბაღის ხილის ავადმყოფობის კაბინეთმა მიჰმართა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათ, მეურნეებს და იმ კერძო პირთ, რომელთაც სასოფლო-მეურნეობასთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ და სთხოვა, გამოუგზავნონ თითო ცალი დაავადმყოფებულ მცენარისა და ხილსა, თანაც მცენარის მავნე მწერები და ჭიები. კაბინეთი გამოკვლევას მოახდენს და შემკითხველებს შესაფერ რჩევასა და პასუხს მისცემს. მისამართი: **ტფილისი, საბოტანიკო ბაღი.**

✦ ტფილისში ჩამოვიდა **გერმანიის ქვეშევრდომი მკვლევარი ავგუსტ ფეტტერი,** რომელმაც უნდა მოახდინოს ოსეთის სამხედრო გზისა და სვანეთის გეოგრაფიული გამოკვლევა.

✦ **ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა,** პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა გადაკეთდეს ერევნის მოედანზე მდებარე თამამშევის ქარვასლა. ხარჯი ნავარაუდევია 200,000 მანეთი.

✦ 1 სექტემბერს ს.-პეტერბურგში გაიხსნება სრულიად რუსეთის **მეფუტკრეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის და მეურნეობის გამოფენა.** აქვე მოხდება მეფუტკრეების პირველი კრება. ამის გამო პეტერბურგის საზოგადოების თავმჯდომარემ ტფილისის საბოტანიკო სკოლის დირექტორს ა. ხ. როლლოვს სთხოვა, მიიღოს მონაწილეობა გამოფენის გამართვაში და თანაც ისეთი პირები აჩვენოს, რომელნიც ამ დარგში მოღვაწეობით ნასახელებნი არიან, რათა უკანასკნელთაც მიიღონ მონაწილეობა გამოფენის გამართვაში.

✦ ქართ. სას. სამეურნეო საზოგადოების **მესაქონლეობის სექციისაგან ამორჩეული კომისია,** რომელშიაც შედიან: ბეითლები შ. დედაბრიშვილი, ბ. მრევლიშვილი, აგრეთვე საზღვარ გარედ ახლად კურსდამთავრებული რ. გედევანიშვილი და ვ. რცხილაძე, შაბათ დილით გაემგზავრებიან კაიშაურის ველის დასათვალიერებლად, სადაც მერძეობა-მეყველეობის საჭიროებანი უნდა გამოიკვლიონ, და შესაფერი რჩევის მიცემით დახმარება გაუწიონ ადგილობრივ მცხოვრებ მეურნეთ.

✦ მტკვარში, მუშტაიდის მახლობლად, 9 ივლის დამხრჩალ უცნობის ვინაობა გამოირკვია. იგი აღმოჩნდა, კოჟრის მაზრის მცხოვრები ვლადიმერ აკიმეს ძე მიგელი, 21 წლისა. ბინა მასა ჰქონია რუსთაველის ქუჩაზე, სახლში № 3.

✦ როგორც სანდო პირი გვატყობინებს, შორეულს ციმბირს მიყრუებულ ნარიმის მხარეს, **სოფ. კოლპაშევოში** 25 თიბათვეს, ბანაობის დროს, მდინარე ობში დამხრჩალა პოლიტიკური გადასახლებული **ალექსი გ. უზუნაშვილი.** ალექსი უზუნაშვილი იყო ქიზიყის სოფ. ანაგიდან. 1909 წელ. იგი ადმინისტრატიულად გადაასახლეს 5 წ. ტომსკ. გუბერნიაში.

✦ **სასანიტარო ზომათა ახალი წესები,** რომელიც ქალაქის სასანიტარო თათბირმა შეიმუშავა, ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა. გამგეობამ ამას გარდა დაავალა სასანიტარო- სამკურნალო ინსპექტორს, თვალყური ადევნოს, რათა ეს წესები ყველგან დაცულ იყოს.

✦ გუშინ, შავი-ზღვის პირას დასასახლებელ ადგილების მოსაწყობ მუშაობის დასათვალიერებლად გაემგზავრა **გადმოსახლების სამმართველოს გამგე** ი. ნ. ვორონოვი.

✦ შარშან დეკემბერში ტფილისში მომხდარ **ექიმთა კრების ოქმების** 1 ტომის ბეჭდვას უკვე შეუდგნენ.

✦ **რედაქციამ მიიღო.** წ. კ. გ. საზოგადოების მიერ გამოცემული **შ. არაგვისპირელის** თხზულებათა **მეოთხე წიგნი.** შიგ მოთავსებულია: „ადე ჩამოვიდა", „ბება, რადა მკლავ?" „ჭეშმარიტად", „ქარი კი ამ დროს ზუოდა", „ღმერთო, რა დაგიშავე", „ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი", „ხითხითებს და ხითხითებს", „მხრები და ავიჩუჩე", „ის", „შეუსვრილი სამი მცნება", „უცნაურია, უცნაურია", „ჩემი თავგადასავალი" და ციცნათელა". წიგნი შეიცავს პატარა ზომის231 გვერდს და ათ შაურად ღირს.

✦ ტფ. გუბერნატორის დადგენილებით 10 მანეთით დაჯარიმებულ იქმნა მეეტლე კ. ცხვიროვაშვილი, რომელიც ბირჟაზე უმოწმობოდ გამოვიდა. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, 7 დღით დააპატიმრებენ.

✦ 11 ივლისს ტფილისში 110 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **მდაბიო მოქალაქეთა წარმომადგენლების კრება** 16 ივლისს, საღამოს 8 საათზე მოხდება. სხვათა შორის, განხილულ იქნება გამგეობის მოხსენება დამატებით ფულით გადადების შესახებ გამგეობის ბინის დასაქირავებლად.

✦ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების **მესაქონლეობის სექციამ,** 10 ივლის კრებაზე, დაადგინა: მიიღოს მონაწილეობა მოსკოვის სრულიად რუსეთის მეცხვარეობის გამოფენაში, რისთვისაც შეუდგებიან ცოცხალ ეკზემპლიარების შეძენას და მეცხვარეობის ნაწარმოებთა შეგროვებას. თავის წარმომადგენლად ქართ. სასოფ.-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ აირჩია ბ. შიო დედაბრიშვილი, რომელმაც იკისრა ჩვენში მეცხვარეობის შესა-

ხებ სასტატისტიკო მიმოხილვის შედგენა, საიმდროოდ დასაბეჭდად და თან წასაღებად.

გორი

✦ გორში ახლად დაარსებულ **ქართველ გამომცემელ საზოგადოების** წევრად უკვე ჩაეწერა ორმოცზე მეტი კაცი. წევრთა რიცხვი თან და თან მატულობს.

✦ წარსულ აპრილში გორის მოვაჭრეთ ძმათა როსტევანოვებს სახლიდან მოჰპარეს კასსა, რომელშიაც სამოცი თუმანი იყო. მაშინვე შეატყობინეს პოლიციას. როსტევანოვებისას დაუყოვნებლივ მივიდა მაზრის უფროსი, ადგილობრივი პოლიცია და თან მაძებარი ძაღლებიც მოიყვანეს.

ეჭვი მიიტანეს ჯახიევებზე. ძაღლებს ასუნებინეს კასის გასაღები და გაუშვეს საძებრად. ძაღლებმა დაირბინეს სახლის ოთახები, გადახტნენ ფანჯრიდან და პირი წაავლეს ნ. ჯახიევს. მაშინ ძმანი ჯახიევები დააპატიმრეს. მაგრამ ისევ მალე გაანთავისუფლეს.

შვიდ ამ თვეს გამომძიებელმა ხელმეორედ დაიბარა ნ. ჯახიევი და გამოკითხვის შემდეგ დააპატიმრა.

„ქართლი“.

ქუთაისი.

✦ ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება ახალგაზდა ნიჭიერი **მხატვარი კოტე ქავთარაძე**. თავის სურათების გამოფენის მოწყობა ამ ხანად ვერ უხერხდება ბ-ნს ქავთარაძეს ჩვენს ქალაქში. ტფილისსა და ბათომში ბლომად შეიძინეს ამ მხატვრის სურათები. აქაც ჩამოუტანია ბევრი ახალი სურათი, ტიპები ბათომის მიდამოს მცხოვრებლებისა და მსურველთ შეუძლიათ ისინი ნახონ და შეიძინონ მხატვრის ბინაზე სასტუმრო ფრანციაში.

ქავთარაძესა სურს, თუ გარემოება ხელს შეუწყობს აკაკის გაჰყვეს რაჭა-ლეჩხუმისაკენ მოგზაურობის დროს. ბ-ნს ქავთარაძეს თანა აქვს ფოტოგრაფიული აპარატიც და სურვილი აქვს გადაიღოს საერთო სურათები მგოსნის შეხვედრისა. იგი ამასთანავე დაჰხატავს საგულისხმო ტიპებს რაჭველ-ლეჩხუმელებისას.

✦ 10 ივლისს, წყლის ამოსაღებად ასულა რიონის პირად **მღვდელი რიჟამაძე** უცაბედათ ფეხი ასხლტომია, გადავარდნილა და დამხჩვალა.

✦ ბ. კ. მკურნალი ტფილისს გაემგზავრა გიმნაზიის საქმეების გამო.

✦ შავი-ქვის საბჭომ გადასწყვიტა **ჭიათურის ხაზინისათვის** თავისი ხარჯით შენობა ააგოს იმ ადგილას, სადაც პოლიციის სამმართველოა. შენებას ამ მოკლე ხანში შეუდგებიან.

შავი-ქვის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრას, რათა ნება-დართონ მორიგი მეთუთხმეტე კრება ოქტომბერში მოიწვიოს.

ბათომი

✦ გუშინ, 12 ივლისს, დასრულდა სახალხო სკოლის მასწავლებელთა და სასოფლოს მეურნეთათვის გამართული კურსები. ს. ნ. ტიმოფეევი, რომელიც ამ კურსებზე ლექციებს კითხულობდა, უკვე დაბრუნდა ტფილისში.

სიღნაღი

✦ უცნობებმა ღამით ისაკო გელაშვილის სახლ-კარი შეამტვრიეს და 75 მანეთის ნივთები გაიტაცეს. მძარცველები მიიმალნენ.

გუმბრი.

✦ აქ გახსნილი დროებითი საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება 10 ივლისს დაიკეტა.

სოფლად

ბორჩალოს მაზრა. გაწერილ ხარჯის შეგროვების შესახებ საგანგებო საბჭომ გამოარკვია, რომ უკანასკნელ თვის განმავლობაში. აქაურ ხაზინაში შემოსულა სახაზინო და საერობო გადასახადი 13681 მ. 54 კ., აქედან: 2838 მან. 89 კაპ. დარჩენილი გადასახადი და 10842 მან. 65 კ. ახალი ე. ი. გადასახადის 10%. როგორც შრომაში მონაწილე მომრიგებელ შუამავლებმა აღნიშნეს, ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთ წლის პირველ ნახევარში ფული არა აქვთ, რადგან თავის გაშოსაკვებადა და სახნავ-სათესად ბევრსა ხარჯავენ, შემოსავალი კი სრულიად არა აქვთ. ამიტომ წლევანდელი აკრეფული ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, შედარებით სხვა წლებთან წლევანდელი წელიწადი მრავლის მხრივ დამაკმაყოფილებელია. მოსავალი საშუალოზე უკეთესია, გარდა იმ ადგილებისა სადაც დაუსეტყვია.

✦ სოფ. საგარეჯო (ტფ. მაზარა) ივანე მურმანიშვილი ნახეს მძიმედ დაჭრილი. ეჭვი ბაგრატ პეპანოვსა არმენაკ და მდივანოვზე მიიტანეს.

✦ **სოფ. შილდა** (ახალქალაქის მაზრა) არტაშეს მერაბიანცმა საერობო დარაჯს ბერიძეს თოფი ესროლა, მაგრამ ვერ მოჰკლა. ბოროტგამიზრახველი შეიპყრეს.

✦ **ნუკრიანი.** (სიღ. მაზ.) ნუკრიანში—მცხოვრებ მართა შალიკაშვილის სახლში ღამით ორი შეიარაღებული უცნობი შევარდნილა, ხელში დასჭრეს ქალი და გაიტაცეს ტანისამოსი და სხვა ნივთები. შალიკაშვილისამ ერთი თავდამსხმელთაგანი იცნო, (ნიკო ხმალაძე), რომელიც უკვე შეიპყრეს.

ჟურნალისტის დღიური.

73.

ნუ თუ მართალია?

გასაოცარს ამბავს ვკითხულობთ გაზეთ „კოლხიდა“-ში: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების გამგეობას დაუდგენია, ზიზღი გამოეცხადოს „კოლხიდა“-ს, რომელიც, მათის აზრით, ცრუ ცნობებს ავრცელებს. არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ცნობა. ასეთივე შინაარსის კორესპონდენცია მიიღო ჩვენმა რედაქციამ, რომელმაც შეუძლებლად სცნო მისი დაბეჭვდა, თუმცა კორესპონდენტს ენდობა—იმდენად გასაოცრად და შეუძლებლად მიგვაჩნია ასეთი დადგენილება. ქართული საკულტურო **დაწესებულება** ზიზღს უცხადებს ქართულ **გაზეთს**. სწორედ მოგახსენოთ, ასეთი უცნაური ამბავი მხოლოდ ქართულს **საზოგადოებაში** შეიძლება მოხდეს.

ვინ არის მართალი, „კოლხიდა“ თუ ხონის განყოფილების გამგეობა—ამის ძიებას ჩვენ არ შევუდგებით იმ მოსაზრებით, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ უცნაურად მიგვაჩნია თვით ასეთი **დამოკიდებულების** დამყარება საკულტურო დაწესებულებასა და ბეჭვდითი ორგანოს შუა. ყოვლად შეუძლებელია ქართულ გაზეთსა და საკულტურო დაწესებულებას ერთი მეორის საწინააღმდეგო საკულტურო მიზანი ჰქონდეს. შესაძლებელია დაიბადოს აზრთა სხვა და სხვაობა მათს შორის, შესაძლებელია სხვა გვარი რამ უთანხმოება დაიბადოს გამგეობის კერძო წევრთა და გაზეთის შორის, მაგრამ ეს კიდევ ნებას არ აძლევს **საკულტურო დაწესებულებას** ზიზღი გამოუცხადოს გაზეთს, რომელიც აგრეთვე საკულტურო დაწესებულებაა. კერძო პირთ კიდევ ეპატიებათ ასეთი გაზვიადება განხეთქილებისა, მაგრამ, როდესაც მთელი დაწესებულება ასეთს სახიფათო გზას ადგება, ეს კი საპატიებელი არ არის.

არ შეგვიძლიან მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ ჩვენი კორესპონდენტის წერილის ერთს ადგილს, რომელიც აქვე მოგვყავს:

„ქ-ნმა კატო ნიკოლაძის ქალმა ბრძანა,—გვწერს კორესპონდენტი,—„კოლხიდა“ ჭორების ორგანოა, მას პატიოსანი ადამიანი ხელში არ აიღებს, შიგ სიცრუის მეტი არაფერი ისტამბებაო. გამგეობა სამართლიანად მოქცეულა, როდესაც ეს ყოვლად გათახსირებული გაზეთი არ გამოუწერიაო. მისმა დამ ეფროსინე ქიქინაძისამაც ბევრი სიტყვა დახარჯა ქართულ პრესის დასახასიათებლად. მან ბრძანა, სამკითხველო კარგა მოიქცა, როდესაც რუსული გაზეთი გამოიწერა. ხალხი რუსულ გაზეთების კითხვას უნდა შევაჩვიოთ, რომ მან „სახალხო გაზეთი“-სა და „კოლხიდის“ ჭორებს თავი დაახწიოსო“.

გულ-ახდილად მოგახსენებ, მკითხველს, მოჭორილ ამბად მოეჩვენებოდა ეს, ხელში რომ არ მეჭიროს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ნებას მაძლევს ვიფიქრო, რომ ხონის განყოფილების გამგეობაში გამეფებულა ისეთი სულიერი განწყობილება, რომელიც ადვილად გამოიწვევდა ასეთს დახასიათებას ქართულ გაზეთებისას.

რედაქციას მოუვიდა ხონის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელ-მოწერილი ოქმი საზოგადო კრებაზე წარდგენილ მოხსენებისა, რომელშიაც აღნიშნულია მიზეზი და ისტორია გამგეობისა და „კოლხიდი“-ს შორის ატეხილ დავისა.

ხონის განყოფილების გამგეობას დაუდგენია, სამკითხველოსთვის გამოიწეროს: „სახალხო გაზეთი“, „თემი“ „განათლება“, „ზაკავ. რეჩ“-ი, ერთი სტატტო რუსული გაზეთი და ერთი რუსული ჟურნალი პროგრესიული მიმართულებისა. თუ გამოვიდოდა ქართული გაზეთი მეორე მიმართულებისა, ისიც უნდა გამოწერილიყო“. გამგეობის ასეთს გადაწყვეტილებას „კოლხიდის“ სამართლიანი გულის წყრომა გამოუწვევია. თუ რად არის „კოლხიდი“-ს გულის წყრომა სამართლიანი, ამაზე ქვევით გვექნება საუბარი. ამ დავის გამო გამგეობა თავის მოხსენებაში სწერს:

„ვსთქვათ „კოლხიდა“ იმ აზრისა არის, რომ ქართველმა მარტო ქართული გაზეთი უნდა იკითხოს. **ხონის განყოფილების გამგეობა კი ჰფიქრობს** (კურსივი ჩვენია), **რომ დღევანდელ პირობებში თვით ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქართულ გაზეთებთან ერთად რუსული გაზეთების კითხვაც“.**

ამ სტრიქონებს ხელს აწერენ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ა. ქიქინაძე და მდივანი პ. კიკალიშვილი.

დავანებოთ თავი იმის მტკიცებას, თუ რა უფრო სასარგებლოა „დღევანდელ პირობებში“, თუ ხონის გამგეობის მესვეურებს ვერ გაუთვალისწინებიათ, სწორედ „დღევანდელ პირობებში“, როდესაც ყოველის მხრიდან ქართულ ენას საფრთხე მოელის, რა „უფრო საჭიროა“, ჩვენ ვერაფერს დაუმტკიცებთ.

მაგრამ ერთს კი მოვახსენებთ როგორც გამგეობის წევრებს, ისე ხონის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ალბად ასევე დამახინჯებულად აზროვნებს. რუსული ჟურნალი და გაზეთები შეგიძლიანთ გამოიწეროთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღარც ერთი ქართული პერიოდული გამოცემა არ დაგრჩათ გამოუწერელი და არც ერთი ქართული წიგნი შეუძენელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხონის გამგეობა ჰღალატობს როგორც ქართველ ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ისე იმ მიზნებს, რომლებსაც საკულტურო დაწესებულება ისახავს,—და ასეთი გამგეობა ღირსი არ არის იმისა, რომ ატაროს საზოგადოების გამგეობის საპატიო სახელი,

შინაური.

სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა საყურადღებოდ

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ჰქონია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ჰქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს სათათბიროს არჩევნებში.

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, მოვალეა, დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის გამგეობაში (12 ამ თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე ტფილისში და სხვა) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა; წინააღმდეგ შემთხვევაში სიაში ვერ შეიტანენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი,—მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, არ ერთმევა საარჩევნო უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ეხლაც შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს. (ტფილისში ეს მოხდება 8 აგვისტოს, ქუთაისში კი 12 ივლისს), შემდეგ დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი, და ამის გამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცდილობდნენ, დრო არ გაუშვან ხელიდან შემდეგ, როცა ერთი წლის ვადა გავა. განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის მოურავის სახელზე საქმე დღით, დილის ათ საათიდან. აი განცხადების ფორმა: ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას. გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო სიაში. ბოლოში მიუწერეთ [illegible] სახელი, გვარი და რიცხვი.

განცხადებას [illegible] დგენილ იქნას მოწმობა, ერთი წლის განმავლობაში როდის გაქვს დაქირავებული.

ასეთ მოწმობად გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კანტრაქტები, თუ მის შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა, ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კონტრაქტები იშვიათად არის და ჩვეულებრივ შინაურ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით მოხდება ხოლმე ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას უნდა წარედგინოს ან ბინის წიგნი, თუ ასეთი მოიპოვება, სახლის პატრონის, ან მისი მოადგილის მოწმობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ჰქირაობდა. დასახელებულ დოკუმენტების შემოწმების შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და პოლიციის მიერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

ვინაიდან ყველაფერი ეს კარგა დროს მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ეხლავე შეუდგნენ თადარიგს, როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება რუსულად უნდა დაიწეროს. („ჩვ. ც.“)

სოხუმის ამ-ბარბი

ქართული კონცერტი სოხუმში.

სამართლიანად აღიარებენ ჩვენი საზოგადო მოღვაწენი და ეროვნული მუსიკის მოყვარულნი: ჩვენი ეროვნული მუსიკა ისპობა და მახინჯდება. ჩვენი ჟურნალ-გაზეთებიც (განსაკუთრებით „სახალხო გაზეთი“) სამართლიანად მსჯელობენ ამ საკითხზე და სცდილობენ, მიაგნონ საშუალებას, რომლითაც შესაძლებელი იქნება ეროვნული მუსიკის დაცვა, შებღალვისა და გადაგვარებისაგან. ერის არსებობისათვის საკუთარი ეროვნული მუსიკა, ისეთივე აუცილებელი საჭიროა, როგორც ენა და ეროვნული ლიტერატურა. საბედნიეროდ ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილმაც კარგად შეიგნო ესა და შეძლებისადგვარად კიდეცა სცდილობს მისი დაცვისა და გაუმჯობესობისათვის.

ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქ სოხუმშიაც შესდგა თავ. ნ. ყ. თავდგირიძის მეთაურობით, მეგრელ-ქართველ მომღერალთა გუნდი. ამ გუნდის მიზანია: შეაგროვოს და შეისწავლოს სხვა და სხვა ხალხური სიმღერები,

პირვანდელი ქალი.

(ალტენბერგით).

ღამის 4 საათზე ყავახანაში, მაგიდასთან სხედან შვიდიოდე ღამის მოსეირენი და ცისკარს უცდიან.

ყველამ იცის, რომ მოხეტიალე ადამიანი ნამდვილი მანქანაა.

დადის, უგზო უკვლოთ ხეტიალში რადგანაც თავისი „შინ აღარა აქვს სადაც ძილი მოუვა იქვე გაგორდება.

ამ ჯურის ადამიანები, მთელ ღამეებს ყავახანებში ათენებენ, უაზროდ ყბედობენ... თვრებიან... კინკლაობენ.

მეორე მაგიდას, კი მეეტლეები უსხედან... მოუხეშავნი სახის დუნე გამომეტყველობით.

„ეე შე ვერანავ, ქაჯო!—უყვირიან მუდამ ცხენებს.

„დაჰკა“ ქუსლი ფერდში.

მაგრამ ჯაჯი ტრახტირში ზის და საზიდავი ცხენი კი მხოლოდ მისი წარმომადგენელია პატრონის თვალში, რომელიც თავის ჯავრს საცოდავ ცხენზე იყრის.

მახლობლად, მშვენიერი ფერმკრთალი ქალწული ზის... მის გვერდით ვიღაც ახალგაზდა რკინისფერ-სახით.

— რა დაგემართა?—შეეკითხა ახალგაზდა კაცი და მის ბამბის ქულასავით სპეტაკ ხელს შეეხო.

— მეშინიან. უპასუხა ქალმა.

— რა უნდა შენგან იმ ვაჟბატონს?

— მეშინიან, მცემს, გარედ გამოვალ თუ არა. არ შემიძლიან სახლში წასვლა. მეშინიან. არ მინდა რომ უყვარდე ვინმეს.

მხოლოდ ფული, და ჭრელი ტანისამოსი მინდა. ის კი ცემას დამიწყებს.

— წამოდი ჩემთან.—უთხრა ახალგაზდამ, თან წამოდგა.

მას შეებრალა ქალი, რადგანაც მის ფერმკრთალ ბაგეთაგან ამოდიოდა გულწრფელი, სიტყვები, თუმცა მოუხეშავი ვით თვით ბუნება.

„არ მინდა რომ ვუყვარდე, მხოლოდ ფული მინდა“. ამ გულწრფელ სიტყვებს იგი აღტაცებაში მოჰყავდა.

იმას კი ისინი უყვარდა, ვინც სიტყვიერად სავსებით გამოჰხატავდა თავის „მეს“ თვისებას.

მას უნდოდა რომ მეტყველი ყოფილიყო თვით ადამიანის ბუნება. და არა რომელიმე „ინსტრუმენტი“ ფლეიტა, ან დუდუკი, რომლისგანაც სურვილისამებრ რამდენნაირ ხმასაც გინდა მიიღებ და შემდეგ გადააგდებ.

ამიტომაცაა ადამიანის გამოცნობა ძნელი. გააგდებს ხელიდან საკრავ იარაღს და მორჩა. ის მემუსიკეა და არა ადამიანი. ნამდვილი ადამიანი კი გულწრფელად უნდა მღეროდეს თავის ადამიანურ სულს, თუ გინდა ეს სულ ოდნავ გასაგონად იყოს თუ მისი სული თვით მოუხეშავია მაშინ—მოუხეშავადვე. კულტურული ადამიანები კი ისე დაუკრავენ როგორც, თვითონ მოეხალისებათ.

ყველაზე უწინ გულწრფელობაა საჭირო. შემდეგ კი მასზე შეიძლება აღმოცენდეს მშვენიერება.

ასე ფიქრობდა ახალგაზდა ჭაბუკი.

— ასეთი ვარ მე—ამბობდა ქალი.

და ეს კი ვაჟს აფრთოვანებდა. აი ამიტომაც გაუწია მფარველობა ქალს, რომელიც თავის პეტრუჩიოს შიშით ცახცახით ეკვრებოდა მას.

დილის 5 საათი იყო. ვინ იცის რა არის დილით ქუჩა? დილის სიცოცხლე, წვრილმან კაცუნებისა რომელთაც თბილი საწოლი გაუცვლიათ დილის სად ჰაერზე.

ფურნიდან ცხელი პურის სუნი...

ვაჟმა მოიყვანა ქალი,—სახლში. მას ჰქონდა პატარა ოთახი, რომელსაც მისი პიროვნების დაღი ემჩნეოდა. ყველაზე უწინ გეცემოდათ კომშის სუნი, რომელიც ყუთით ედგა ოთახის კუთხეში. ფანჯრებზე—სუფთა მშვენივრად ნაქარგი ფარდები. საწოლთან ეკიდა მშვენიერი სურათი.

„სერობა—გებგარდისა. იუდას სახეს ფარავდა. იქვე დაკიდული ოქროს მედალი, რომელზედაც მხატვრულად იყო გამოსახული სპინოზას თავი.

ვაჟმა ოთახში შესვლის უმალ, ბუხარში ნაფოტები შეჰყარა და ცეცხლი გააღვივა...

ოთახში მალე დათბა. ახალგაზდა ქალი ტანგახდილი, შიშველი იჯდა კუთხეში, ბუხართან.

მის გასწვრივ ვაჟი მაგიდას მოსჯდომოდა და სწერდა თავის რვეულში:

„**Depudore**. სირცხვილი. შეიძლება ეს იმ უფსკრულის შეგნება იყოს, რომელიც იმყოფება იმას შუა, რაც ჩვენა ვართ და **რაც უნდა ვიყოთ**. ჩვენ ვნაღვლობთ საკუთარ „მე“-ზე, რომელიც დამახინჯებულია ცხოვრების კლანჭებისაგან.

ეს ჰმუნვაც არის—**მორცხვობა**.

ნუ მიყურებთ, მე როგორიცა ვარ. ჩვენ გრცხვენიან ყოველივე ისეთ რამის, რომელიც ჩვენ „მე“-ს დაარღვევს, რაც მის აყვავებას წინ ეღობება.

ეს ჰმუნვაც იმაზეა, რომ ჩვენ **უკანასკნელნი** ვართ და არა ღვთის მსგავსნი.

რათა გრცხვენიან შენ, თუ შენ გაჰხდი შენივე იდეალი. თუ შენ ბრწყინავ ვით თვით ხორცშესხმული იდეა? შენ ისევ სამოთხეში ხარ და კვლავინდებურად შიშველდები.

მშვენიერება მორცხვობას ჰკლავს. შეიძლება ეს გრძნობა თვით „ჩვენ არსებაშივე იყოს ჩაქსოვილი, რომ ჩვენის საკუთარ სრულყოფით დავთრგუნოთ იგი.

თუ შენ ისეთი ხარ, როგორიც უნდა იყო. მაშ, სახეზე სირცხვილის რიდეს რად იფარებ?

— რასა სწერთ?—შეეკითხა ქალი.

მან წაუკითხა და განუმარტა თავის—ნათქვამი.

— ესეთი—თქვენა ხართ.—მე მხოლოდ შენგან გადმოვხატე.

— მართალია მე მიყვარს ჩემი ტანი.—სთქვა ქალმა. მას წმინდანსავით ვეთაყვანები, ვესასოები. მაგალითად ჯანმრთელობისთვის საჭიროა, რომ მე ზომაზე ვიძინო, უდროო დროს არავინ გამომაღვიძოს.

როცა გამომეღვიძება ოთახი უკვე გამთბარია. შუა ოთახში სდგას ცივი წყლით სავსე ვანა.

საწოლიდან პირდაპირ წყალში ვისკუპებ. და რამოდენიმე წამს ვნებივრობ. შემდეგ ისევ ვწვები. ახ, მაშინ მთელი სიცოცხლის შადრევანი სდუღს ჩემში. მე მხიარული ვდგები. შემდეგ ვჭამ წვნიანს, კვერცხებით. ვსამ მხოლოდ ცივ წყალს. პაპიროზს არ ვწევ. ერთმა ვაჟბატონმა შემნიშნა, რომ თითქოს მე ნამეტანი თავმოყვარე ვიყო.

მაგრამ ვის რა უნდა. მე ასეთი ვიყო.

იგი იდგა მის წინაშე მთელი თავის კდემა მოსილ ტანით. ვაჟი დაეკონა მის ლალის ფერ ბაგეს მოწიწებით.

— თქვენგან მშვენიერი სურნელება ეფინება ოთახს. დაუმატა მან.

„ეს სურნელებაც ხომ მშვენიერი ორგანიზმის ნაყოფია. ამისათვისაც მიყვარს მისი ტანი. აი სადამდის მიაღწევს ადამიანის ტანის სისუფთავე. მშვენიერ ტანით მონაბერმა სიხარულმა მისი სული შეიპყრო. ეს იყო მზის სხივებით გაბრწყინვებულ მთის თხემზე მდგარ ადამიანის აღტაცება.

უფრო მაღლა აწევა არ შეიძლება. სრული სიმშვიდე... ბედნიერება ამაზე უწმინდესი აღარა იქნება რა.

სრულ ყოფნის ძალა შეიპყრობს, ბნელ სულის მატარებელ ადამიანსაც. კურთხეულ იყოს სრულყოფა... მშვენიერის სახისა. უკვდავია მშვენიერება.

ყოველივე სიმახინჯე გვამცირებს. წყეულმც იყოს იგი.

მის წინ იდეალური ტანი იდგა... იგი განთავისუფლებულ სიცოცხლის კეთილ სურნელებას ჰფენდა გარემოს.

ისინი და-ძმასავით ერთად დაწვნენ.

როცა მას გამოეღვიძა, ვაჟი მის ფერხთით იჯდა.

ნაშუადღევის სამი საათი იყო.

ფიჭვის შეშა ბუხარში საამურად ტკაცანებდა...

შუაგულ ოთახში საბანაოდ დამზადებული ცივი წყალი იდგა.

— რა კეთილი ადამიანი ხართ!—გაკვირვებით წარმოსთქვა ქალმა. 5 წამის განმავლობაში ბანაობდა.

შემდეგ კი ცოტა ხანს საწოლში ნებივრობდა, მისი იდეალური ტანი. ბოლოს შიშველი მოუჯდა მაგიდას. ვაჟი ისე ემსახურებოდა მას, როგორც მსახური დედოფალს.

ამ ბუნების ლაღმა შვილმა პირველად დაინახა ადამიანი მამაკაცში.

ვაჟისთვის წმინდათა წმინდას წარმოადგენდა მისი მშვენიერი ტანი. ელლინურ ტანის პატრონი ამას გრძნობდა.

ორთავე მსოფლიოს შემეცნების შორის ბევრი რამ იყო საერთო.

და ორივე გულწრფელად ესაუბრებოდენ ერთმანეთს.

თავისუფალნი... შეგნებულნი... ამიტომაც უყვარდათ—ერთმანეთი.

ის ფილოსოფიურ და ფსიხოლოგიურ განმარტებით მიუთითებდა ქალს „შეუგნებელ სიმშვენიერეზე, რომლითაც დაჯილდოებული იყო იგი. ვაჟმა კი მისი „პირვანდელობა“ განიცადა მხოლოდ.

მისი მოძღვრება კი ღაღადებდა: **„სხვა ყველაფერი მეტია თუ შენ ღვთიურ სიმშვენიერით ხარ აღჭურვილი“.** არ შეგვიძლიან ადამიანების შექმნა-გადაქმნა.

ჩვენ მხოლოდ განვითარება შეგვიძლიან იმისი, რაც ბუნებას მოუცია. ასწავლიდე—ეს იმას ნიშნავს რომ ორგანიულ თანდათანობითი ზრდას მისდიო კვალ და კვალ.

ადამიანები კი ცდილობენ მოჰღუნონ სწორი ხე...

თავისებური სახე მისცენ... დაამახინჯონ. მაგრამ ვინ?

ისევ თავისივე „მე“. შემდეგ თვითვე შექმნიან წუწუნს დაღუპულ იდეალებზე.

წასვლისას კი ქალმა უთხრა: „მაჩუქეთ ეს ოქროს მედალი“.

ეს იყო ანგართ მოყვარეობასთან შეერთებული ცნობის მოყვარეობა.

მან ჩამოიღო სურათთან ჩამოკიდული მედალი, წამსვე იუდას სახე გამოჩნდა.

„გამცემი“—წარმოსთქვა ქალმა.

— იცოდეთ! ის მუდამ ჩვენში სცხოვრობს, ის ანგრების გამოხატულებაა. ჩვენ „მე“-ს ღრღნის, ჰყიდის, ჰკლავს ჩვენში იდეალურ ადამიანს...

ქალმა სპინოზას მედალიონი წაიღო.

—„მშვიდობით“—წარმოსთქვა მან და ვაჟს გადაკოცნა.

კვლავ დაღვრემილნი ისხდნენ კეთილშობილნი მოსწავლენი, „გაყიდულ მოძღვრის წინაშე, რომელიც სიმბოლოა კაცობრიობისა. ფერმკრთალი იუდა, კი იდგა ნახევრად შემოღებულ კარებთან საიდანაც დილის სინათლე შემოჭრილიყო.

მაგრამ მისთვის დილის ნაცვლად ღამე მოაქროლებდა შავ კალთებს.

კ. აბაშისპირელი.

სრულიად გადაუკეთებლად, შემდეგ კი გადასცეს და გააცნოს იგი საზოგადოებას, სწორედ ისე როგორც ხალხი მღერის მას. გუნდს ხელმძღვანელობს აქეთ კარგად ცნობილი, სხვა და სხვა ხალხური სიმღერების კარგი მცოდნე ბ. ძ. ლოლუა. გუნდი ჯერ-ჯერობით ოცდაორი კაცისაგან შესდგება. გუნდი მეცადინეობდა თითქმის ორი თვე (დღეში ორ საათს) და დღემდის თითქმის 35-ტი ხალხური სიმღერა მოამზადა; კახური, ქართლური, გურული მეგრული, აფხაზური, სვანური და ხევსურული.

გუნდში არიან სვანურ ჭიანურისა და ჩონგურის დამკვრელები, მოცეკვავენი: მეგრულისა (სხაპუა) სვანურისა, აფხაზურისა, ხორალისა დავლურისა, უზუნდარისა, ლეკურისა და სხვა. გუნდში არიან აგრეთვე კარგი დეკლამატორები.

1 ივლისს ამ გუნდმა ქ. სოხუმში თავ. ნ. ყ. თავდგირიძის გამგეობით პირველად გამართა (კონცერტი). გუნდი დიდ ხანს ემზადებოდა ამ პირველი ნაბიჯის გადასადგმელად და უნდა აღვიაროთ, რომ შრომას უბრალოდ არ ჩაუვლია. კონცერტი ჩინებული გამოდგა. ისიც უნდა აღვიაროთ, რომ კონცერტს ბევრი ნაკლულევანებაცა ჰქონოდა, მაგრამ ნაკლულევანებას სრულიად აქარწყლებს კონცერტის ღირსებები და გუნდის დიდად სიმპატიური მიზანი.

კონცერტი შესდგებოდა ოთხი განყოფილებისაგან. შესრულებულ იქმნა 30-თი სხვა და სხვა ხალხური სიმღერა. ყველა სიმღერების ცალ-ცალკე აღნიშვნა ძლიერ შორს წაგვიყვანს, ამიტომ შევეხებით საერთოდ.

საზოგადოებას უფრო კახური და ქართლური სიმღერები მოეწონა და ხშირადაც თხოულობდნენ მათ განმეორებას *). ამათ შემდეგ გურული სიმღერები მოეწონათ და ითხოვეს მათი განმეორება. მეგრული სიმღერებიდან მოიწონეს „სიქოურქ ბატა მაქომტალენქო“ და „მა ვამოკო სიცოცხლე“. ხევსურულიდან „ლაშქრად წასვლა“, აფხაზურიდან „აყიში“ და „ღიღინი“. კარგი იყო აგრეთვე ორ სართულიანი ფერხული და ნადური. ყველა სიმღერები შესრულებულ იქმნა უნოტოთ.

ყველა განყოფილების ბოლოს იყო ცეკვა, იკითხებოდა სახუმარო ხალხური თქმულებანი, ლექსები და სხვა. გურული და იმერული თქმულებანი კარგად წაიკითხა ბ. გ. ანჯაფარიძემ. ახალგაზრდა პოეტმა ბ. ლ. გეგეჭკორმა წაიკითხა თავისი საკუთარი ლექსები. ბ. ი. კორტმა წაიკითხა ი. გრიშაშვილის „ოქროს ფეხი“ და ვ. რუხაძის „შავი ძალა. გუნდი და კონცერტის მონაწილენი საზოგადოებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა. კონცერტის დაწყებამდე პოეტმა ლ. გეგეჭკორმა მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა, ეროვნულ ხალხურ სიმღერების მნიშვნელობაზე, ახლად შემდგარ გუნდზე და მოუწოდა საზოგადოებას: „ამ გუნდს, რომელიც დაარსებულია სიმპატიური მიზნით შეძლების დაგვარად დაეხმარეთ და რომ ამ გუნდს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ეროვნული მუსიკის გასამდიდრებლად ამას თქვენცა ნახავთ მომავალში“. საზოგადოება ამ სიტყვას ტაშის ცემით შეეგება. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გულგრილობა რომელიც სოხუმის ქართველმა საზოგადოებამ გამოიჩინა ამ კონცერტზე. ბილეთების ფასები ძლიერ მცირე იყო. მიუხედავად ამისა ხალხი მაინც მცირე დაესწრო. გარდა ამისა საზოგადოების ერთ ნაწილს სრულებით არ ეყიდა ბილეთები; რადგან კონცერტის გამგენი ამას არ მოელოდნენ და არაფერი ზომა არ იყო მიღებული.

ამის გამო შემოსავალმა ხარჯი ვერ დაჰფარა, და გამგეობას ვალი დაედო.

3 ივლისს ამავე გუნდმა კონცერტი გამართა დაბა გუდაუთში. კონცერტს ბევრი ხალხი დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა. მიუხედავად ხალხის სიმრავლისა შემოსავალმა ხარჯი ვერც იქ დაჰფარა, რადგან მთელი შემადგენლობის მოგზაურობა და ხარჯი არც ისე ცოტა იყო. კონცერტი უნდა გამართულიყო ბევრ დაბა ქალაქებში, მაგრამ უსახსრობისა და დავალიანების გამო გუნდი გუდაუთიდანვე სოხუმში დაბრუნდა და დროებით მუშაობაც შეაჩერა. დიდად სასურველია, რომ საზოგადოება მხარს დაუჭერდეს ამ გუნდს და შეაძლებინებდეს მუშაობის გაგრძელებასა და სხვა და სხვა ადგილას კონცერტების გამართვას; რაც უეჭველია დიდად სასარგებლო იქნება ეროვნული ხალხური მუსიკის გამოსაკვლევად და შესასწავლად. სასურველია რომ ფილარმონიული საზოგადოებაც ყურადღებას მიაქცევდეს ამ გუნდს, გაეცნობოდეს მის სიმღერებსა და შემდეგ თავის აზრს გამოსთქვამდეს.

ისარი.

სალიტერატურო გასამართლება ჭიათურაში

7 ივლისს ჭიათურის თიატრში გაიმართა სალიტერატურო გასამართლება.

გაასამართლეს მგოსან ილია ჭავჭავაძის „განდეგილი. სასამართლოს თავმჯდომარეობდა ბ-ნ ვალ. შალიკაშვილი. წევრებად მოწვეული იყო ორი და ნაფიც-მსაჯულებად 12 ადგილობრივი ინტელიგენტი. ბრალმდებლად გამოვიდა ბ-ნ გ. გიორგაძე, დამცველად კი ახლად უნივერსიტეტ დამთავრებული იურისტი ბ-ნ არსენ რაჟდენიძე. დამსწრე საზოგადოებას რომ ნათლად გათვალისწინებოდა მგოსნის ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ტიპიური პირები ვალ. შალიკაშვილმა გარკვეულად წაიკითხა ხსენებული ნაწარმოები.

ვალ. შალიკაშვილმა, დაასკვნა რომ განდეგილს ბრალი ედება იმისათვის, რომ მან თავის გონებრივი და ფიზიკური ძალა საზოგადოებას კი არ მოახმარა, არამედ მთა-კლდეს შეაფარა თავი და განდეგილად სცხოვრებდაო.

ბევრი ილაპარაკა ბრალმდებელმა ბ-ნ გ. გიორგაძემ. ბრალმდებლის მოტივები თითქმის იგივე იყო რაც ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში არა ერთხელ აღგვინიშნავთ.

სამართლიანობა გვავალებს ვსთქვათ რომ ბ-ნ გიორგაძე კარგად დახელოვნდა სალიტერატურო დაცვა-ბრალდების როლებში, იგი ყოველთვის გასაგებ ენით დაკვირვებულ და გარკვეულ პასუხს აძლევს მოპირდაპირეს.

დამცველი **არ. რაჟდენიძე**, მჭერმეტყველი ორატორია. იგი შეეცადა მოსწრებულ-მოხდენილ შედარებით და უხვ შეზავებულ მასალით გაემართლებინა განდეგილი. განდეგილში ის ჰპოვებდა დადებითს მხარეებს უფრო მეტს, ვიდრე უარყოფითს: განდეგილი თავის წმიდა ცხოვრებით სხვებს მაგალითს უჩვენებდა.. თავის განდეგილობით ამ ქვეყნიურ ბოროტებას ერთგვარ პროტესტს უცხადებდა... განდეგილი მტკიცედ ადგა თავის რწმენას, რისთვისაც დასაფასებელიაო და სხვა და სხვა... არ. რაჟდენიძის დებულებების დარღვევა შესძლო გ. გიორგაძემ. ორივე ორატორები დამსწრე საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ამ დღეს ნაფიც ვექილებიდან და დამსწრე საზოგადოებიდამაც საჯაროდ გამოთქვეს თავიანთი შეხედულება განდეგილის ცხოვრებაზე. ეს მოვლენა სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ გვარად სალიტერატურო საღამოების მოწყობით უფრო დაინტერესდება დამსწრე საზოგადოება და უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს მსმენელთ.

ბოლოს ნაფიცმა ვექილებმა კენჭი უყარეს და დიდის ხმის უმრავლესობით დამნაშავედ იცნეს განდეგილი.

საზოგადოება ბლომად დაესწრო.

ბესარიონი.

ანაგის ქსენონი

ანაგის ქსენონი დაარსდა 1892 წ. და ინახავს საკუთარის ხარჯით ოთხი საზოგადოება: ს.ს. კარდანახი, ანაგა, ვაქირი და მაშნაარი, რომელთა კომლთა რაოდენობა დაახლოვებით უდრის 2650 კომლს. ქსენონი მოთავსებულია დაქირავებულ შენობაში ს. ანაგაში. შენობა შესდგება ხუთი პატარა ოთახისაგან, მათში ერთი საზოგადოა, სადაც იკრიბებიან ავადმყოფნი, ერთი ოთახი კაბინეთია ექიმისთვის, ერთი საავადმყოფო ერთ საწოლიან ტახტით და ორიც წამლებისთვის. ოთახები ნათელია, მხოლოდ მოწყობილობით კი ღარიბი. შენობა დაქირავებულია წელიწადში 360 მანეთად. ქსენონს ჰყავს სამზრუნველო წრე, შემდგარი ცხრა კაცისგან, ყველა საზოგადოებიდან ამორჩეული, რომელიც განაგებს ეკონომიურს მხარეს ქსენონისას. ესევე წრე აგრეთვე იწვევს ექიმს და ფერშალს; აწესრიგებს ყოველ საჭირო ხელსაწყოს და სხვა...

ქსენონისთვის ხარჯად და ექიმის ჯამაგირად საზოგადოებანი იხდიან 2400 მანეთს, ამაში ექიმს ეძლევა წლიურად 1200 მანეთი, ფერშალს 240 მანეთი, მოსამსახურეს 180 მანეთი და დანარჩენი 420 მანეთი იხარჯება წამლის შესაძენად.

ქსენონს ჰყავს მუდმივი ექიმი და ფერშალი; ექიმი იღებს ყოველ-დღე ქსენონში სადღსტაქარო ავადმყოფებს ზაფხულობით დილის 6 საათიდან, ზამთრობით კი 7-დან; ავადმყოფთა გასინჯვის შემდეგ ექიმი და ფერშალიც დაიარებიან სახლებში სუსტ ავადმყოფებთან, რისთვისაც აქვს განიხრული გასამრჯელო: ექიმს ეძლევა ერთი მანეთი, როცა თავის ცხენით მიდის ავადმყოფთან, და—60 კაპეიკი თუ ავადმყოფის ცხენით; ფერშალს კი პირველ შემთხვევაში ეძლევა 80 კაპეიკი, მხოლოდ მეორეში 40 კაპეიკი. ანაგის ქსენონში დღიდან დაარსებისა უმსახურნიათ ექიმებს: გძელიშვილს, ჩიქოვანს, რობიტოვს, ანდრონიკოვს და ტურიევს.

ჯავაზი.

ამპარტავანი დილეტანტი.

(წერილი რედაქციის მიმართ).

„ზაკავკაზიე“-ში დაიბეჭდა ჩემი წერილი „ქართული ლექსთა წყობა“. ამ წერილის დედა-აზრი ის არის, რომ ქართული ენა უუხნიერესია, ფრიად განვითარებული, მდიდარი და აქამომდე ცოცხლად შენახული მწერლობასა და თვით ერში. არა სხვა ენას დედამიწის ზურგზე, ძველსა თუ ახალს, ლექსთა წყობა ისე არ ეადვილება, როგორც ქართულს. ამიტომ სრულიად სამართლიანია იმ მეცნიერთა აზრი, რომელნიც ამბობენ—ქართული ენა პოეზიის ენა არისო.

სწორედ ამ სიმდიდრეთა და კეკლუცობით იცავდა ქართული ენა თავის თავს, როდესაც ქართველი ერი ათასგვარ ქარ-ცეცხლს განიცდიდა, და საფიქრებელია, იგივე თვისებანი დაიცავენ ქართულ ენას შემდეგშიაც, რაც უნდა სახიფათო განსაცდელი დაატყდეს ქართველს.

ვისაც კაცობრიობის აზრისა და მის გამომხატველ იარაღის მეცნიერულად შესწავლა ჰსურს, ქართული ენა უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს. სამწუხაროდ, ქართულ ენის მკვლევართა რიცხვი მეტად მცირეა. მათმა მოღვაწეობამ დღემდე ვერ შექმნა ვერც რიგიანი გრამატიკა და ვერც სიტყვიერების თეორია,—მათი ნაშრომი მასალად თუ გამოდგება.

პატივცემულ ს. გორგაძის „წყობილ-სიტყვაობა“, „გრდემლში“ დაბეჭდილი, ქებით მოვიხსენიე, ხოლო ამ შრომის ძირითადი შეცდომა აღვნიშნე გრამატიკულ მახვილის შესახებ ქართულ სიტყვებში და, როგორც დამამტკიცებელი საბუთი ჩემის აზრისა, რამდენიმე მაგალითი მოვიყვანე; აღვნიშნე, სხვათა შორის, რომ ქართულ სიტყვიერების მკვლევარნი დიდებულ რუსთველის პოემასაც-კი სხვა და სხვა-ნაირად კითხულობენ, სხვა და სხვა მახვილით. სხოლიოში დავუმატე: „ვეფხის ტყაოსანი“ ნამდვილ ჰექზამეტრით არის დაწერილი, ხოლო ამის დამტკიცებას ეხლა ვერ შევუდგებიმეთქი, რადგან წერილის საგანს დამაშორებს.

ჩემს წერილში, რომელსაც მხოლოდ პუბლიცისტური ხასიათი ჰქონდა, ერთი ქართველ სიტყვიერების სახელმძღვანელოს შემდგენელი სწორედ ამ სხოლიოს დააფრინდა: როგორ თუ ვეფხვის-ტყაოსანი ჰექზამეტრით არის დაწერილი? ეს ხომ „საარაკო უვიცობა და დილეტანტობააო“.

მართალი ბძანებაა, მე დილეტანტი ვარ და, შესაძლოა, საარაკო უვიციც, მაგრამ საგულისხმოა, რომ დილეტანტობას მიკიჟინებს არა მეცნიერი, არამედ თვითვე დილეტანტი.

ჩემი აზრი მას, რასაკვირველია, ეუცხოვებოდა, რადგან რუსთველის პოემა მას ოთხმარცვლოვან ლექსად დაწერილი ჰგონია და თვისი შეხედულობა ჩვენის მოსწავლეთათვის სავალდებულოდ მიაჩნია; მე კი, არა კადნიერ დილეტანტს, დიდებულ შოთას ჰანგი ჰეგზამეტრად მოჩვენება, ე. ი. ექვს-მარცლოვან ლექსად. სად ოთხი და სად ექვსი? თუმცა მე გაკვრითა ვსთქვი ჩემს წერილში, რომ ხუთ-მარცვლოვანი ამფიბრახი მე შეუფერებლად მიმაჩნია, და ამას მაინც უნდა დაეფიქრებინა, ვიდრე მრისხანე განაჩენს დაადგენდა. ამიტომ იძულებული ვარ ჩემი აზრი განვმარტო.

ჰექზამეტრი, როგორც თვით სიტყვა თხოულობს, ექვს-მარცვლოვანი ლექსია. ბერძნულ ჰექზამეტრში რამდენიმე დაქტილი მწკრივად მიდის და ბოლოს სპონდეოსი მიჰყვება. სპონდეოსი ორკეც ანუ ბრტყელ ხმოვან ასოთაგან შესდგება. ქართულში ორკეცი წაკვეცილი ანუ ნახევარხმოვანი ასოები არ არსებობს. ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ჰექზამეტრს ქართულში სრულიად ადგილი არა აქვს. მაგრამ დასკვნას ცოტახანს ჩამოვეხსნათ.

იმ წერილში, რომლის მხოლოდ სხოლიომ მიიპყრა ამპარტავან დილეტანტის ყურადღება, მე ვამბობ,—რადგან ქართულ სიტყვებს გრამატიკული მახვილი არა აქვს, ლექსში კი აუცილებელია და იქ დაისმის, სადაც თვით ლექსის მოყვანილობა მოითხოვს და არა—სიტყვის ბუნება,—ქართულ ენას ყველანაირი ლექსი ეხერხება, რაც-კი აქამომდე უცხო ენებზე დაწერილა და გაგონილა, მაშასადამე ჰექზამეტრიცა.

თუმცა ქართულში ორკეცი ხმოვანი არ არსებობს, მაგრამ იგი თავს იჩენს ლექსში, მეტადრე სახალხო და გურამიშვილისეულ ლექსებში. მაგალითად:

ეო, მეო,
შვილო დევეტრეო!..

აქ **ენი** ყველგან ორკეცია. სხვაფრივ წაკითხვა შეუძლებელია.

მოწყალების კარო,
შენს ზღურბლს მოვეკარო!..
(გრდემლი, II, 17).

აქ სიტყვებში „კარო“ და „მოვეკარო“ **ანი** ორკეცია.

დამბადებლისა მამისა
საყვარელო ძეო,
ბატონებისა დედასა
კარი გამიღეო! (იქვე, 18)

აქაც სიტყვებში „ძეო“ და „გამიღეო“ **ენი** ორკეცია.

თუ ქართულ ენას ვიწრო ფარგლებითა დ ზომებითარ შევზღუდავთ, მაშინ ბერძნულისეული სპონდეოსი ქართულ ლექსში გადაჭრით არ უნდა უარვყოთ.

ახლა ვნახოთ, სპონდეოსს რა ადგილი აქვს „ვეფხის-ტყაოსანში.

განსვენებულ დ. ჩუბინაშვილის შემდეგ ჩვენი მწერლები და ხელმძღვანელები, მათ შორის ამპარტავანი დილეტანტიც, „ვეფხის-ტყაოსანის“ სტრიქონს ოთხ მუხლად ჰყოფენ: პირველ მუხლში ერთი გაზვიადებული ამფიბრახია და ერთი დაქტილი, მეორეშიაც ეგრე და სტრიქონს ამრიგად კითხულობენ:

აა—აა|—აა||აა—აა|—აა

ზოგი კი მთელ ტაეპს ანუ ხანას რვა სტრიქონად ჰყოფს და იმავე ამფიბრახითა და დაქტილით კითხულობს.

მე მოგახსენეთ, რომ ამისთანა ამფიბრახი შეუსაბამოა. ამას გარდა, გაბმული ერთ-კილოიანი ანუ მონოტონური კითხვა ტაეპებისა და მთელ პოემისა, თუმცა ულაზათო არ არის, მაგრამ მოსაწყენია,—ნუ დაივიწყებთ რომ წინად პოემას მღერითა ანუ ღიღინით კითხულობდნენ.

„ვეფხის-ტყაოსნის“ წარმტაცი მელოდია სულ სხვანაირია და სწორედ ეს მელოდია აძლიერებს პაფოსს.

პოემის სტრიქონი იყოფა ორ მუხლად და ექვს მარცვლად: პირველ მუხლში ერთი სპონდეოსია და ორიც დაქტილი, მეორე მუხლშიც სპონდეოსი წინ უძღვის ორს დაქტილს. მეორე სტრიქონშიც ექვსი მარცვალია, ხოლო სპონდეოსები ადგილს იცვლიან და დაქტილებს შუა მოექცევიან, ამრიგად:

— —|— აა|— აა|| — —|— აა|— აა
— აა|— —|— აა|| — აა|— —|— აა

ვინც კითხვა იცის ლექსისა, ის დარწმუნდება, რომ ესეთი ჰექზამეტრი ბერძნულ ჰექზამეტრზე ბევრად ლამაზია და უფრო კეთილხმოვანი.

დიდი შეცოდება არ იქნება და არც ჰეგზამეტრის თეორიას ეწინააღმდეგება სპონდეოსი რომ ხორეოსით (—ა) შევცვალოთ, მელოდიაც არ დაირღვევა.

შიო დავითიშვილი.

მოწერილი ამბები

სოფ. ბაკურციხე (ქიზიყი). ბაკურციხე ისტორიულად შესანიშნავი სოფელია. ეს სოფელი ერთ დროში, როგორც მოგვისთხრობს ქართლის ცხოვრება, ქალაქი იყო, სადაც სცხოვრობდა მეფე ბაკური მაშინდელი ციხეები ისევ დარჩენილია აქა-იქა ამ სოფელში. დროთა ვითარებისა გამო ბაკურციხე სოფლად იქცა. აქამდისინ ღარიბ-მივარდნილ გამოუჩენარ სოფლად ითვლებოდა მაგრამ ამ ბოლო დროს დაწინაურდა: სკოლაც აშენდა—რკინის გზაც ამ სოფლად გამოჰყავთ—დიდი მუშაობაა გაჩაღებული. ვაჭრობაც გაძლიერდა—დუქნები—რესტორნები დაიმართა—რკინის გზის მოხელენი—ინჟინრები—ჩინოვნიკები სულ აქ დაბინავდნენ. შენობები მოუმატეს. გადააკეთეს და გაამშვენეს. ყველაზე უფრო ამშვენებს ბაკურციხის არე-მარეს განსვენებულ დავით ზ. სარაჯიშვილის სახლ-კარი, რომელიც გადასცა ანდერძით ალექსანდრე პ. სარაჯიშვილს.

20-ს თიბათვეს აკურთხეს ბაკურციხეში საკრედიტო ამხანაგობის შენობა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო მახლობელ სოფლებიდგანა. წირვის შემდეგ ახ საკრედიტო ახალ შენობაში ჯერ გადიხადეს პანაშვიდი განსვენებულ დავით ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე მშვენივრათა გალობდა მღვდლებისა და დიაკვნებისგან შედგენილი ხორო. შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ადგილობრივმა მღვდელმა მ. მაჭავარიანმა. თ. დავით ჩოლაყაშვილმა განუმარტა საზოგადოებას მნიშვნელობა საკრედიტო დაწესებულებისა. გადაიხადეს პარაკლისი, აკურთხეს შენობა და ალექსანდრე პეტრეს ძემ სარაჯიშვილმა გადასცა ადგილობრივ მღვდელს, როგორც საკრედიტო ამხანაგობის მართებლობის თავმჯდომარეს, ასი თუმნის ბილეთი ბანკისა ძირითადი თანხითა; გადასცა გასაღები კედელში დატანებულ რკინის ყუთისა, სადაც უნდა ინახებოდეს ფული და ამხანაგობის ყველა საჭირო დავთრები—დოკუმენტები. შემდეგ ფოტოგრაფმა გადაიღო ამხანაგობის წევრები იქ დამსწრე ხალხითა. ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი ძრიელ სწუხდა, რომ ტფილისიდან დაიგვიანეს მოსვლა თვით დავით სარაჯიშვილის ქვრივმა ეკატერინე ადამის ასულმა, სარაჯიშვილის ნათესაობამ და დაპატიჟებულთ ტფილისიდან გარეშე პირებმა. უცბად დაიძახეს მოდიანო და მართლაც გამოჩნდნენ ავტომობილი და ეტლები სტუმრებისა. სტუმრებთა შორის თვით ინსპექტორი საკრედიტო დაწესებულებისა ვ. ლ. ვიფორსიც იყო, რომელმაც დაათვალიერა შენობა და ძრიელაც მოიწონა. ალექსანდრე პ. სარაჯიშვილმა მიიპატიჟა ყველა იქ დამსწრე საზოგადოება სადილათა და ძრიელ მდიდრულათაც გაუმასპინძლდა. სადილზედ თამადობდა მიშო მაჩაბელი და თითო სადღეგრძელოზე სიტყვასაც ამბობდა. რადგანაც სამგლოვიარო სადილი იყო მხიარულობა და სიმღერა არ შეიძლებოდა. ახლო სტუმრები საღამოს დაიშალნენ, მხოლოდ ტფილისიდან მოსულები იმ ღამეს იქ დარჩნენ. მშვენიერ სურათს წარმოადგენდა იმ ღამეს სარაჯიშვილის შენობა ელექტრონული განათებითა...

წარსულმა წვიმებმა და ნიაღვრებმა, ისედაც დაზარალებულ ჭირნახულს, დიდი ზარალი მისცა. ბევრს დათესილი ყანები და სიმინდები დასტაცა და ზოგისაც ვენახები ხევებმა წაშლამა. ზარალი დიდია.

თომა ბაკურციხელი.

სოფ. ჩალაუბანი. (ქიზიყი) 6 ივლის საათის 10 ზე სოფ. ჩალაუბნის მახლობლად უბედური შემთხვევა მოხდა. ძმებს პანტელოევს (ბერძნებია), რომლებსაც ორი თათარი ჰყავთ ამხანაგად, აღებული აქვთ რკინის გზის სამუშაო ინჟინერ ოგანეზოვისაგან. 6 ამ თვეს ამხანაგებს ანგარიში ჰქონდათ ერთმანეთში. ისხდნენ გზატკეცილის მახლობლად, სადაც აქვთ სამუშაო და ბინაც მუშებისთვის, (აქვე არის იმერლების დუქანი). მოუხდათ ლაპარაკი ნახარჯის ანგარიშის გასწორებაზე. მუშა თათარმა (სპარსეთის ქვეშევრდომმა). ამოიღო ხანჯალი და თავში და ხელში ჭრილობა მისცა უფროს ძმას კოს. პანტელოვს. ამ სურათის დანახვაზე უმცროსმა ძმამ პავლე პანტელოვმა შესძახა-რას ჩადიხარო. [illegible] ამ უკანასკნელს და მუცელში [illegible] ხანჯალი და [illegible] დაჭრილი პანტელოვი იქვე გარდაიცვალა. უფროსი ძმა საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმის სიტყვით ჭრილობა არ არის საშიში. გაქცეული მკვლელი სოფ. ბაკურციხეში შეიპყრეს. სამწუხარო სურათი იყო იმ დროს, როდესაც მოვიდა ცოლი მოკლულის პანტელოვისა. მიცვალებული დასვენებულია იქვე გზის პირად. ჯერ გაძოძიება არ მომხდარა.

არსად ახალ გზაზე არ ყოფილა ასეთი უწესრიგობა როგორც აქ არის. უპირველესად, როდესაც ახალი გზა გაჰყავთ მოიჯარადრე ვალდებულია პირობის ძალით მუშებისათვის ბინები გააკეთოს. შემდეგ პური მიაწოდოს და მასთან ფული ე. ი. დღიურ დაქირავებულ მუშებს თავის დროზე აძლიოს ხვედრი ფული. სამწუხაროდ ამ გზაზე ჯერ არც ბინა მუშებისათვის არც პური და არც ფული.

ი. გადიდელი.

სოფ. მარტყოფი (გარე კახეთი). თუმცა ჩვენი სოფლის მცხოვრებთა რიცხვი ათას კომლს აღემატება და ახალგაზდობაც ბლომად არის, მაგრამ სახალხო წარმოდგენების სისტემატიური მართვა, აქ არ არსებობს. წელიწადში ერთხელ, იშვიათად ორჯელ, თუ იმართება წარმოდგენა და ისიც ზაფხულობით. უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ სოფელში არ მოიპოვება ამისათვის შესაფერი შენობა. სასურველია, რომ ადგილობრივმა მოღვაწეებმა, სოფლის საზოგადოების დახმარებით, გამონახონ რამე წყარო მარტყოფში წარმოდგენებისათვის იაფფასიანი შენობის ასაგებად, მით უმეტეს, რომ ამ შენობაში მოთავსდება ბიბლიოთეკაც, რომელსაც მუდმივი ბინა არა აქვს. აქვე შეიძლება გაიმართოს ხოლმე ლექციები, სახალხო კითხვები, ბუნდოვანი სურათები და სხვა. თეატრის აშენება რასაკვირველია მძიმე საქმეა ჩვენთვის, მაგრამ, თუ თაოსნობასა და ენერგიას გამოვიჩენთ, საქმე უსათუოდ დაგვირგვინდება. დარწმუნებული ვარ, დახმარებას არავინ დაიშურებს ამ ფრიად სიმპატიური საქმისთვის ვისაც რით შეეძლება ფულით იქნება, მასალით თუ მუშაობით; ყველაფერი საჭირო იქნება საქმისთვის. არც უნდა სესხს მოვერიდოთ, რადგანაც თეატრი თავის ვალს ადვილად გადაიხდის.

1 ივლისს მ. საფაროვის რეჟისორობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა ირეთელის ოთხმოქმედებიანი დრამა „სოფლის გმირები“ და 1 მოქმედ. ვოდევილი „დედის ერთა ვ. გუნიასი. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, წეს-რიგიც სამაგალითო იყო. ეტყობოდა, რომ სცენის მოყვარეთ არ დაეხოგათ დრო და ძალღონე ამ წარმოდგენისათვის. ღამის პირველ საათზე ხალხი დაბრუნდა სახლში დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი, რისთვისაც უღრმესი მადლობის ღირსნი არიან მონაწილენი. განსაკუთრებული შრომა მიუძღვით ამ წარმოდგენის გამართვაში მასწ. ბ. ბერიშვილს და პეტრე ქილაშვილს, როგორც ამ საქმის მოთავეებს და ხელმძღვანელებს. საზოგადოება დიდად მადლიერია აგრეთვე არტ. შ. საფაროვისა, რომელმაც შრომა გასწია და სრულიად უსასყიდლოდ მიიღო მონაწილეობა, როგორც რეჟისორობით და სცენის ტეხნიკური მოწყობით, აგრეთვე კომიკური სცენების წაკითხვით, რითაც დამსწრენი ბევრი აცინა.

მ—ფელი.

რუსეთ-მონგოლეთის შეთანხმება

ურგიდან „რუსკ. სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ:

რუსეთისა და მონგოლეთის მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის შინაარსიც მოკლედ მოგვყავს: რუსეთი ვალდებულია მფარველობა გაუწიოს მონგოლეთს, დაიცვას იგი უცხო სახელმწიფოთა ისეთ მოთხოვნილებათაგან, რომელნიც მონგოლეთის მთავრობას უსამართლოდ მიაჩნია. მონგოლეთმა სესხი მხოლოდ რუსეთში უნდა აიღოს ხოლმე.

რუსეთს განსაკუთრებული უფლება და უპირატესობა ეძლევა მონგოლეთის მიწის წიაღში დაფარულ სიმდიდრის ექსპლოატაციისა.

მონგოლეთის რკინის გზების გაყვანის საქმეში მონაწილეობა მხოლოდ რუსეთს ეკუთვნის.

ხელშეკრულობაში ჩართულია ისეთი მუხლები, რომლის ძალითაც ჩინეთი ვერ ჩაერევა მონგოლეთის შინაურ საქმეებში.

საყურადღებო რეფორმა ინგლისში.

ინგლისი ყოველ-დღე წინ მიდის პროგრესის გზაზე და მრავალ საყურადღებო რეფორმას ახორციელებს. 2(15) ივლისს, ინგლისში ძალაში შევიდა ახალი კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ. იგი ეხება თითქმის 14 მილიონ მოსამსახურეებს, რომელთა რიცხვში შედიან ყველა მუშები, დაწყებული ხელზე მოსამსახურეთაგან, ვიდრე კანტორის იმ მოსამსახურეებამდე, რომელნიც 160 გირვანქა სტერლინგზე ნაკლებს იღებენ წელიწადში.

დაზღვევა ორნაირია: ავადმყოფობისაგანა და უმუშევრობისაგან. პირველი დაზღვევა ეხება ყველას, ვინც კი 60 გირვანქა სტერლინგზე ნაკლებს იღებს წელიწადში; მეორე სახის დაზღვევა კი ეხება მხოლოდ ი. მუშებს, რომელნიც კანონში ნა-

---

*) უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთი სიმღერა არ გაუმეორებია გუნდს,

ჩვენებ ხუთნაირს წარმოებაში არიან. იმედი აქვთ, რომ თან და თან წარმოების სხვა დარგებიც მიემატება მათს რიცხვსა. ჯერ-ჯერობით კი დაზღვევა უმუშევრობისაგან ეხება მხოლოდ ორ მილიონს მუშას.

დაზღვევა ამ წესითა ჰხდება. დაზღვევა ავადმყოფობისგან მუშაკაცს დაუჯდება კვირაში 4 პენსი, მუშა-ქალს კი 3 პენსი. უმუშევრობისაგან დაზღვევა კი დაუჯდებათ კვირაში $2\frac{1}{2}$ პენსი, ასე რომ ერთად დაუჯდებათ: კაცებს—$6\frac{1}{2}$ პენსი, ქალებს—$5\frac{1}{2}$. ამას წარმოების პატრონებმა უნდა დაუმატონ 3 პენსი ავადმყოფობისთვის და $2\frac{1}{2}$ პენსი უმუშევრობისთვის, სახელმწიფო კი თავის მხრით პირველ შემთხვევისთვის იხდის 2 პენსს, მეორე შემთხვევისთვის კი—$1\frac{2}{3}$ პენსს. ასე რომ დაზღვეული მუშა 4 ან 3 პენსში იღებს 5 პენსს მეტს, უმუშევრობისაგან დაზღვეული კი $5\frac{2}{3}$ პენსს მეტს.

ასეთია დაახლოვებით ის კანონი, რომელიც უკვე ძალაში შევიდა. იგი ბევრს უკმაყოფილებას იწვევს სხვა და სხვა წრეებში.

მაგრამ ასე ჰხდება ხოლმე ყოველთვის, როდესაც ახალი ძირითადი რეფორმა პირველად შედის ცხოვრებაში. რეფორმას, როგორც ეტყობა, ნდობით ეკიდებიან სწორედ ისინი, ვისთვისაც შემოღებულია იგი. გაზეთების ცნობებით, 14 მილიონ მუშათაგან უკვე ათი მილიონი ჩაწერილა.

ბრძოლა დარდანელში

„სტეფანის“ სააგენტომ შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა:

„რადგანაც იტალიის საზღვაო ძალთა უფროსს ხშირად მოსდიოდა დაქინებული ცნობები, რომ ოსმალეთის ფლოტი აპირებს ჩვენსაზე მოულოდნელად თავდასხმასო, ამიტომ გადაწყდა ჩვენი ფლოტის გაძლიერება და კრეისერ-ნაღმოსნების ჩრდილოეთით მიწევა.

ნაღმოსანთა ესკადრა საზვერავად მიდიოდა დარდანელისაკენ უშიშრად და სრულის წეს-რიგით; მტრის შეუმჩნეველად გაიარა სრუტის ოცი ვერსი და მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს მტრის პროჟექტორებმა დარდანელის სანაპიროს, ორივე მხრიდან თოფზარბაზნების სროლის დროს ესკადრა სულ წინ მიიწევდა, სანამ არ დარწმუნდა-, რომ ოსმალეთის ფლოტი მზადაა თავის დასაცავად და შემოფარგლულია ნაღმის საწინააღმდეგო ფოლადის საფარველით. ასეთ პირობებში მათზე თავდასხმა ჩვენს ნაღმოსნებს, რასაკვირველია, აღარ შეეძლოთ და გადასწყვიტეს უკანვე დაბრუნება.

უკუქცევა სრული წესიერებით მოხდა. იგი დაუბრკოლებლად გამოვიდა ეგეის ზღვაში ისე რომ მტრის ნაღმ-მიუკარებელმა გემებმა უკან დადევნებაც ვეღარ გაბედეს.

ესკადრის უფროსის გონიერ და მართებულ განკარგულების წყალობით, აგრეთვე მტრის უთავბოლო სროლის გამო, ნაღმოსნები სრულიად უვნებლად დაბრუნდნენ უკან, რაც დამამტკიცებელია მხედრობის სამაგალითო მამაცობისა და მტკიცე დისციპლინისა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

12 ივლისი.

ოსმალეთ-იტალიის ომი.

რომი. „სტეფანის სააგენტო“ იუწყება, ტყუილიაო ოსმალებისაგან გავრცელებული ხმა, ვითომ დარდანელთან იტალიელთა ერთი გარიყული იტალიელი მეზღვაური ენახოთ. უკანასკნელი დეპეშები ნათლად მოწმობს, რომ 5 ნაღმოსანი, დარდანელში რომ იყო, უკან ასტროპოლიაში, უვნებლად დაბრუნებულა.

ინგლისელი ექიმები.

ლონდონი. დიდ ბრიტანეთის სამედიცინო საზოგადოებამ წლიურ კრებაზე დაადგინა მოსპოს მოლაპარაკება ლოიდ-ჯორჯთან დაზღვევის კანონის თაობაზე.

სპარსეთი

თავრიზი. ქოიდან იუწყებიან, ოსმალეთის ქურთების რაზმი მოულოდნელად თავს დაესხა სოფ. ხუსინსო მაისაო. ბრძოლამ თითქმის დღე და ღამე გასტანა თურმე. სოფელი ქურთებს გაუძარცვნიათ და ისმაილაღას მომხრენი გაურეკნიათ.

არდებილის რაზმი ყარაგელის მხარეს წავიდა. ელიკედუკი რეში-ულმულკს ეუღია. შაჰხევენბს მეშკინაში აგროვებენ.

ინგლისის პალატა.

ლონდონი. ლორდთა პალატა. დიდი კამათი იყო ხმელთა შუა ზღვის მდგომარეობის გამო. გრაფმა სელბორნმა განაცხადა, გერმანიის ზღვაზე გერმანიას ფლოტი სამმრად აქვს გამზადებულიო. გარდა ამისა, ვიცი, რომ ხმელთა შუა ზღვაზე, ამ ცოტა ხანში, გაჩნდება ჯავშნიანი ფლოტი გერმანიის მეგობარ სახელმწიფოსისა. ამიტომ ინგლისმა უნდა შეჰქმნას 8 ჯავშნოსანისაგან შემდგარი ახალი ფლოტიო.

სტატს-სეკრეტარმა კრუმ სთქვა, მდგომარეობა ნამდვილად სერიოზული არის, მაგრამ მაინც გავაფრთხილებ რადიკალ წევრებს პალატისას, ნუ ცხაროზენო.

ლორდ-კანცლერმა ხოლდენმა განაცხადა: ინგლისი ყოველთვის ეცდება ზღვაზე ყველაზე ძლიერი იყვეს, ეს ინგლისის პრინციპი არის და არც არასოდეს უღალატებს ამ პრინციპსაო.

გაფიცვა

ბრაილი. ნავთ-სადგურში საყოველთაო გაფიცვა არის გამოცხადებული. მთავრობა დაფაცურდა და შუამავლობას კისრულობს. გაფიცვის მიზეზი ყოფილა იმისთანა მუშების მიღება, რომელნიც მუშათა კავშირში არა ყოფილან ჩაწერილნი.

რუსეთი.

შვეციის მეფისა და რუსის იმპერატორის შეხვედრა

პეტერბურგი. შვეციის მეფისა, დედოფლისა და რუსის იმპერატორის შეხვედრას, მათის სურვილით, სრულიად შინაური და კერძო ხასიათი ჰქონდა. შეხვედრა ძლიერ დაახლოვებს ორ მეზობელ სახელმწიფოსაო.

არჩევნების წინ

კიევი. მონარქისტთა თოთხმეტ ორგანიზაციის წარმომადგენლებს ყრილობა ჰქონდათ. გადასწყვიტეს ნაციონალისტებს შეუერთდნენ, თუ ისინი მემარჯვენეთა კანდიდატებს მისცემენ ხმასა. გარდა ამისა, შეთანხმდნენ სათათბიროს სადეპუტატო კანდიდატების არჩევანზედაც.

უცხოეთი

ოსმალეთის მდგომარეობა.

ოსმალეთის ჯარში დაწყებული მღელვარება არა ნელდება, საქმეს ის გარემოებაც ართულებს, რომ არ იციან, თუ რა თვალით შეხედავენ მეამბოხე აფიცრები ახალ კაბინეთის განზრახულ შემადგენლობას. დიდ ვეზირად დასახელებულმა, ინგლისის მეფის კარზე ელჩად მყოფმა, თევფიქ-ფაშამ მოთხოვნათა მთელი რიგი წარუდგინა სულთანს, რომელიც ასრულების შემდეგ იგი თანახმაა სამინისტროს შედგენა იკისროს; ერთ უმთავრეს მოთხოვნად იგი ასახელებს, რომ მინისტრთა ამორჩევის დროს იგი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს. რადგანაც მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო, სულთანი დასთანხმდა მისგან წამოყენებულ პირობებს და თევფიქ-ფაშამაც თანხმობა განაცხადა დიდ ვეზირობაზე.

მიუხედავად ამისა სტამბოლის საზოგადოება საგონებელს მისცემია და კონსტიტუციის ხუთი წლის თავზე დიდმნიშვნელოვან აბებს ელის; ყველაზე უფრო ეშინიათ ახალგაზრდა ოსმალთა უცხაური საქციელისა, რომელთაც გადუწყვეტიათ ყოველნაირი საშუალებით იბრძოლონ პალატის დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის წინააღმდეგ. საზოგადოების დასამშვიდებლად და მხედრობის გონზე მოსაყვანად სულთანმა მანიფესტით მიმართა ჯარს, რომლითაც ურჩევს, მოიგონოს თვისი მოვალეობა და ნუ აჰყვება წუთიერ გულისთქმას. პრესა ერთსულოვნობით მიეგება სულთანის მანიფესტს, რომელსაც დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ აქტად სთვლიან. ამ მანიფესტით ოტომანთა იმპერატორი თითქოს კომპრომისულ წინადადებას იძლევა სამხედრო ლიგასა და ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის შესარიგებლად. ცხადია რომ, მდგომარეობა მართლაც კრიტიკული ყოფილა, თუ კი თვითონ სულთანიც იძულებული გახდა პარტიათა შეურიგებელ ბრძოლაში ჩარეოდა და შესათანხმებელი ნიადაგი მოეძებნა მათთვის.

თეატრი და ხელოვნება.

გორი. პარასკევს, 13 ივლისს, ქალაქის საზაფხულო საკრებულოს დარბაზში ტფ. ქართულ თეატრის მსახიობი გ. არადელი-იმხნელი ამავე თეატრის მსახიობის ლიზა ჩერქეზიშვილის მონაწილეობით და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება **„ჯადოსანი“**, პიესა—ზღაპარი ხუთ სურათად, გადმოქართულებული კონსტან ანდრონის მიერ. მონაწილეობენ ქ-ნნი ლ. ჩერქეზიშვილი, ვ. ვალიავა, მ. მაჩაბელი, მ. მაღალაშვილი, ე. მაღალაშვილი, ბ-ნნი გ. არადელი-იმხნელი, ა. დავიდოვი, ს. მეტეხელი, ცერცვაძე და სხვ.

სხვათა შორის აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ის, რომ წარმოდგენები საზოგადოდ გვიან იწყება ხოლმე. აფიშებში გამოაცხადებენ ცხრის ნახევარზე დაიწყებაო, ნამდვილად კი იწყება 10—11 საათზე. ისე მიეჩვია ამას ხალხი, რომ ზოგიერთი ათ საათზე ადრე არ მოდის თეატრში იმდურებიან—ხალხი ნაკლებ ეტანება წარმოდგენებსაო, ან კი როგორ მიეტანოს, როდესაც იცის, რომ თეატრში ესთეტიური სიამოვნების მაგიერ მას ტანჯვა მოელის. მთქნარება და ერთი ვაი-ვიში სდგას ხოლმე დარბაზში მუდამ და ზოგი შეიძლება თვალსაც ატყუებს სკამზე. კარგი იქნება, სცენარიუსის თუ რეჟისორის მოვალეობაა ეს, ეხლა მაინც გაანთავისუფლებდნენ კულისებს ზედ-მეტ ხალხისაგან.

წინა წარმოდგენის ერთი მთავარი დეფექტი სხვათა შორის ეს იყო: კულისები სავსე იყო ხალხით და კეკემალულასავით ხან ერთი გამოჰყოფდა ცხვირს სცენაზე, ხან მეორე, წარმოდგენის დროსაც ხშირად დაიარებოდნენ უკან. ურიგო არ იქნება ბ. რეჟისორი მიაქცევდეს ყურადღებას დეკორაციებსაც. მაგრამ მთავარი ბრალი იმაში კლუბის მამასახლისთა სდევთ. „თუ ჭამა გიყვარს, მოტანაც გიყვარდესო“ ანდაზად არის დარჩენილი ქართლში. ამ დალოცვილებმა ის კარგად იციან რომ თვითეულ წარმოდგენაში 25—40 მანეთები აიღონ, ხოლო ის კი აღარ ახსოვთ რომ სცენას მოწყობა, პატრონობა უნდა. ფარდაა ადამის ჟამისა, ხოლო დეკორაციები ნოეს დროისებური. დროა საზოგადოებამაც გამოიჩინოს მეტი სიმწიფე თეატრისათვის. ხშირად წარმოდგენაზე ხმაურობენ, მოთამაშეთა სიტყვებზე ოხუნჯობენ, იცინიან, როცა სატირელია, და სტირიან, როცა საცინელია, მაგრამ ეს ძველი „გორული“ სენია...

ბ. არადელ-იმხნელს გადაუწყვეტია სისტემატიურად მართოს ქართული წარმოდგენები ზაფხულის განმავლობაში. არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ მივეგებოთ ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობის ასეთ სიმპატიურ გარდაწყვეტილებას. იქნება ჩვენს მოსაწყენ, ერთფეროვან ცხოვრებას პატარა შინაარსი მიეცეს და შემდეგ უფრო გაწვრთვნილი სცენის მოყვარეთა ჯგუფიც მოგვიმზადდეს. ვუსურვებთ კეთილი საქმის დამწყობს მეტს სიმხნევეს, მეტს საქმიანობას...

სანგანიძე.

დ. სურამი, კვირას, 15 ივლისს ოლ. ლეჟავას, პ. შოთაძის, ი. ზარდალიშვილის და ი. გრიშაშვილის მონაწილეობით გაიმართება ორიგინალური იუმორისტიული **„სალამო-მეჯლის“** დასაწყის საღამოს 9 ს.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ალაგირელ ქართველ საზოგადოების სახელით იმ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და გამომიგზავნეს ქართული სკოლის სასარგებლოდ შემოწირულება: ქ-ნ მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ, 10 მან. ეპისკოპოსმა ტრიფონმა, 3 მან. სოლომონ ალექ. ქეიშვილმა 5 მან. ალფეზა დავითულიანმა 2 მან. ლევ. ბონჯგუამ 1 მან. ევგენი ვირილეიშვილმა, 1 მან. სარდიონ პოხონელიძემ 1 მან. მარეოზა ციხისელმა, იორდანე ჩალაძემ, გიორ. დათაშვილმა, იაკოფა მონიავამ, ლადიმერ ცხვედიანმა, ვას. გვენცაძემ, გიორგი ყრუაშვილმა, (ათ ათი შაური) ვასილ ხუციძემ, სტეფანე არჩვაძემ, დათიკო კახეთელიძემ, ორორი აბაზი, ილიკო საშინაძემ 30 კაპ.

სოფლის რწმუნებული **პეტრე მეტრეველი.**

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ მე-646-ში მოთავსებულია წერილი გორიდან ამ სათაურით—„ბოქსი ქ. გორში“. წერილს ბოლოში აწერია გ.—ძე. ბევრს გუმანი აქვს ჩემზე, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ ხსენებული წერილი მე არ მეკუთვნის. *)

ამასთანავე ვაცხადებ მკითხველი საზოგადოების საყურადღებოდ, რომ თუ რამ წერილი გამოჩნდა გაზეთში ამ ხელმოწერით—ჩემი არ იქნება და ჩემზე გუმანის მოტანაც მეტი იქნება. მე ფსევდონიმს სრულად ვაწერ.

პატივისცემით **სან-განიძე.**

ჩვენი ფოსტა.

ბორჯომი. მოვაჭრე იაგორ მოსეს ძე **აკოფოვს:** თქვენი წერილი უნდა მოათავსოთ იმავ „კავკაზ“-ში, სადაც თქვენზე წერილი ყოფილა მოთავსებული.

---

*) ზემოხსენებული წერილი არ ეკუთვნის ბ-ნ სან-განიძეს. **რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ., ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 8 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საგარაკო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ. № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: საგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. **ფომინა-ოხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შევლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის $12\frac{1}{2}$ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ $12\frac{1}{2}$ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანავოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის $12\frac{1}{2}$ ს.
კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.
ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.
ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.
ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.
კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.
მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.
კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.
ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.
ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. **შეხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.100)

დაბა სამტრედია

ახალი აგურხანა.

ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს
6 X 3 X $1\frac{1}{2}$ ვერშოკ. ზომიანს.

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირსების სა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სისწრაფით სრულდება.

პატივისცემით **პორფირე ჭეიშვილი.**

(თ. 1338.12)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საეთნოგრაფიო მასალები:

მარრი ნ., Тексты и разысканія по Армяно-Грузинской филологіи:
Кн. I, Ефремъ сиринъ, о дняхъ празднованія рождества ფას. 75 კ.
Кн. II. Іосифъ Аримфейскій. сказаніе о построеніи первой церкви въ гор. Лиддѣ Грузинскій текстъ по рукоп. X—XI в. 1 მ.
Кн. III, Ипполитъ. Толкованіе пѣсни-пѣсней. Грузинскій текстъ по рукописьямъ X в. . 2 მ.
Кн. IV, Древне-грузинскіе одописцы . . . . . 3 მ.
Кн. V, Марръ. Критика и мелк. стат. . . . . 75 „
Кн. VI Физіологъ. Армяно-грузинскій изводъ . . . . 2 მ.
Кн. IX, Антіохъ страт. Плѣненіе Іерусалими въ 614 л. 2 მ.
Кн. XII, Вступительныя и заключительныя строфы Витязя въ „Барсовой кожѣ“ . . 1—25 „
Исторія Грузіи по поводу рѣчи Восторгова . . . 25 „
Къ вопросу о задачахъ Армяно-вѣденія . . . . . 1 მ.
Дѣянія трехъ св. муч. спесита, Еласипа и Меласипа . . 75 „
Армяно-Грузинскіе матеріалы для исторіи душеполезной повѣсти о Варламѣ и Іосифѣ . 40 „
Кавказъ и памятники духовной культуры . . . . . . 20 „
Изъ поѣздки въ турецкій Лазистанъ . . . . 60 „
Матеріалы по Археологіи Кавказа. Собран. эксп. Импер. Моск Арх. О—ва . . . 7 მ.

ადრესი: Тифлисъ О-во распр. Гр. ср. гр. насел.

(წ. 1141.73)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

თევზის მრეწველნი
მმ.
ძმებ ველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ყურადღება!

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

აგრეთვე **ყოველ დღე მოგვდის** საკუთარ სამრეწველოებიდან **ახალ-ახალი ზუთხი, თართი და ლოქო.** მაღაზიაში ყოველთვის მოგვეპოვება **მოხარშული დოში, იანი, ჭიპა, გამოსული ზურგიელი:** კავკასიისა, დონისა, ორაგულისა, გვაქვს ყოველნაირი საქონელი და კონსერვები.

(წ.1131.204)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

◆ წელიწადი მერვე. ◆

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი „ნაკადულისა“** მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი „ნაკადულისა“** მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —
—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ნ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—84 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანისქუჩა, 12, სტამბა „შრომა“.